ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43-72

2024 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების:

1. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) სზ-3 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		**0,5**	კოეფიციენტი
კ-2		**1,5**	კოეფიციენტი
კ-3		**0,3**	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		**–**	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	**300 / 400 ***	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	**9 / 12 ***	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	**20 / 25 ***	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		**15 **/17 *****	მეტრი
შენიშვნა	** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის* *** კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში,* ***გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა*** **** გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა,* ***გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა***		

2. 30-ე მუხლის მე-15 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,გ“ ქვეპუნქტი:

„გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, თუ ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ორი შენობა-ნაგებობა, ძირითად შენობა-ნაგებობაზე ამ პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ გავრცელდეს დამხმარე შენობა-ნაგებობის სახურავის/კეხიდან 5 მეტრის ზემოთ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**